დანართი N 2 - პროგრამის აღწერა

სამუშაო პროგრამას, რომლიც უნდა ინტეგრირდეს სსიპ „იუსტიციის სახლის“ მართვის ერთიან სისტემაში, სავალდებულოა გააჩნდეს შემდეგი შესაძლებლობები:

1. ოპერატორმა განახორციელოს მომხმარებლის შესახებ არსებული მონაცემების ელექტრონულად შევსება;

2. პოლისის ელექტრონულად შევსების შემდგომ, პროგრამიდან იბეჭდებოდეს განცხადება, რომელზეც დატანილი იქნება განცხადების ნომერი და განცხადების ძირითადი მონაცემები;

3. პოლისის შევსება განხორციელდეს ელექტრონულად, მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, მისი გაცემაც (დაბეჭდვა) შესაძლებელი უნდა იყოს სამუშაო პროგრამიდან;

4. პოლისის ამობეჭდვამდე, იუსტიციის სახლის ოპერატორმა, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს პოლისის კორექტირება;

5. მომხმარებლის პროგრამაში ძებნა განხორციელდეს სხვადასხვა კრიტერიუმით (სახელი და გვარი, პირადი ნომერი, პოლისის ნომერი, მიმღები ფილიალი, პოლისის მიღების თარიღი, პოლისის საფასურის გადახდის თარიღი და ა.შ.);

6. სადაზღვევო პოლისის გაუქმებაზე დაწერილი და დასკანერებული განცხადება აიტვირთოს და სადაზღვევო კომპანიაში გაიგზავნოს პასუხისმგებელ პირთან;

7. იუსტიციის სახლის მხრიდან განხორციელდეს პროგრამიდან სხვადასხვა სტატისტიკის ამოღება (მაგალითად, გაყიდული, რეგისტრირებული პოლისების რაოდენობა იუსტიციის სახლის ფილიალების, ოპერატორების და პერიოდების მიხედვით);

8. პროგრამა დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოფდეს იუსტიციის სახლის ოპერატორის მიერ შევსებული ელექტრონული პოლისისა და ავტომატური გადახდის

სისტემის საშუალებით პოლისის ღირებულების გადახდის შესახებ ინფორმაციის დადასტურებას;

9. პროგრამიდან პოლისის დაბეჭდვა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ კომპანიის მიერ სადაზღვევო პოლისის დადასტურების შემდგომ;

10. პოლისის ღირებულების გადახდის გარეშე შეზღუდული იყოს პოლისის გენერირება და გაცემა.